საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეხური

გაზეთი გამოდის 1988 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№151 (6376) 18 დეკემბერი სამშაბათი 1990 წელი ფასი 3 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესია

13 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომა. მისი გახსნისას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა ზვიად გამსახურდიამ აღნიშნა, რომ წინა დღეს ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადებისა და იქ კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ახლა სესიამ უნდა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი და მიიღოს შესაბამისი დადგენილება.

ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების ტექსტი წაიკითხა უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, თედო პაატაშვილი, დავით კუპრეიშვილი, ლევან ალექსიძე, გიორგი ხავთასი, გიორგი გულბანი, ომარ ელოშვილი, ვლადიმერ მირცხულავა, ავთანდილ იმნაძე, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯონი ხეკურიანი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი და სხვები.

ტექსტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ქალაქ ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კონსტიტუციის 110-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მასობრივ მოძრაობებს მათი რესპუბლიკური ორგანოების სახით და საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას“.

2. კონსტიტუციის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ნებისმიერი საკითხის გამოქმნის დროებით კომისიებს“.

3. კონსტიტუციის 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეებს, რაიონების, ქალაქების, ბუნების დაცვის, თავისუფლების აღკვეთის ადგილების ზედამხედველ პროკურორებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“.

4. კონსტიტუციის 180-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი არის ეროვნული ოქროსფერი ჩუქურთმით შემოსაზღვრული შვიდქიმიანი ვარსკვლავი, რომელსაც ორნამენტში ქიმების გასწვრივ ჩაწნული აქვს შვიდი შავარშიანი თეთრი ბოლნური ჯვარი. როგორც ჯვრების, ასევე ვარსკვლავის ქიმების შიდა ველები ქართული წითელი ფერისაა (შინდისფერია)“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1990 წლის 11 დეკემბერი.

ხალხის გულისთქმა

ნაბიჯი სწორია

ოს მოსახლეობას საქართველოში ცხოვრების, სულიერი განვითარების საუკეთესო პირობები აქვს. ღმერთმა შეარგოთ, ქართველები კვლავაც შეეცდებიან ისინიც და სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც ჩვენს გვერდით თავს გრძნობდნენ შინაურულად, თავისუფლად, ბედნიერად.

იმისათვის, რომ დავიცვათ საქართველოს ერთიანობა, სახელი და ღირსება, მშვიდობა, არავითარი აუცილებლობა არაა ქართლის ამ შიდა გულში ავტონომია არსებობდეს, მისი გაუქმების აუცილებლობა დიდი ხანია დგას. სწორი და მისასალმებელია, ისტორიული აუცილებლობით გამოწვეულია საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, რომელსაც ქართველების მხარდამხარ სიხარულით შეხვდა ჯანსაღად მოაზროვნე ოსი მოსახლეობაც.

მაგრამ ოსი ეროვნების ერთი ნაწილი, სამხრეთ ოსეთის არაფორმალური გაერთიანება „ადამონ ნიჩასი“ გვიყენებს გაუმართლებელ მოთხოვნებსა და ბრალდებებს, რითაც შეურაცყოფს ქართველ ერს, აყალბებს ისტორიულ რეალობას. საქართველოს მტრობით გულდამძიმებული ადამიანები აბნევენ ოს მოსახლეობას, თესავენ ღვარძლსა და შურს ისტორიულად ამ ორ მეგობარ ერს შორის, მესამე ძალაც უსისინებს მათ.

იმედი ერთია, ოსი მოსახლეობა გონს მოეგება, დაინახავს, რომ ძვირფასია ქართველი და ოსი ხალხების ძმობა და სიყვარული, მეგობრობა, ჩვენ კვლავ ერთად ვიცხოვრებთ და ვიშრომებთ ერთიანი, თავისუფალი საქართველოსათვის.

მ. გურული.

მხოლოდ ერთად

ჩვენს მიწაზე, ეგრეთწოდებულ ოსეთის რესპუბლიკაში დაძაბულობის ცეცხლი ანთია, ადგილი აქვს ოსი ექსტრემისტების აღვირახსნილ მოქმედებას, რომელთა ხელით ქართველთა სისხლი იღვრება, ამაზე უარესი და უსაშინელესი რა უნდა იყოს, მოყვრად მოსული მტერი ყველაზე საშიშიაო, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ქართველს ქართულ მიწაზე აღარ დაეკარგომება, ამაზე უმძიმესი ჩემს თაობას ნამდვილად რომ არაფერი ახლოვს.

ცნობილია, რომ შეიქმნა სამშაბლოს აღორძინების ფონდი, რაზეც ლაპარაკი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის გერმანე ფაცაციას ტელევიზიით გამოსვლისას. საქართველოში მცხოვრებმა ყველა ოჯახმა, ქართველმა თუ არაქართველმა, ვისაც ჩვენთვის სიკეთე უნდა, ყოველ თვეში თითო მანეთი მაინც რომ გაიღოს, მილიონობით თანხა შესდგება და სტიქიურად დაზარალებული ოჯახების სამაშაბლოში კომპაქტურ დასახლებას მოხმარდება.

საქართველოსათვის—ყველანი ერთად—ეს უნდა იყოს ახლა ჩვენი მოქმედების დევიზი, რადგან, რომ იტყვიან, საათი ჩართულია და თუ გვინდა, რომ მექანიზმმა ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედოს, ყველა პირადული გვერდზე უნდა გადავდოთ და რაც ერს არგებს, ის ვაკეთოთ.

ჩვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი გასაჭირშია. რა გული მოგვცემს, არ გავიღოთ, რაც საშუალება გვექნება, იგი ხომ ისევ ჩვენს საქმეს, ჩვენს ძლიერებას, ჩვენს სიმშვიდეს, ერთობას და ერთიანობას მოხმარდება.

ვ. მუშკუდიანი.

საბჭოები: რევოლუციური ბრძოლის პროცესია

ვისაც თავისი ქვეყნის გასაჭირი გულთან ახლოს აქვს მიტანილი, ის, ვინც საქართველოს ბედნიერ მომავალზე და მის დამოუკიდებლობაზე ფიქრობს, არ შეიძლება საქმით არ დაამტკიცოს სამშობლოსადმი ერთგულება და თავდადება.

სრულდება ქართველი ერის დიდი ხნის ნანატრი ოცნება, ქართველი ერი ბრძნული წინდახედულობით, გააზრებული მოქმედებით იბრძვის სრული თავისუფლების მოპოვებისათვის, რომელსაც სათავეში ახლადარჩეული პარლამენტი უდგას. საქართველო უნდა იყოს სხვაზედ დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალი ქვეყანა, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა მას ეკონომიკური ბაზა ჰქონდეს, რაც თითოეული ქართველისაგან ჭეშმარიტ მამულიშვილობას, ენერგიულ, დაძაბულ შრომას ითხოვს.

შეგნებული აქვთ რა ქვეყანაში შექმნილი მწვავე ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაცია, წიფერჩის სასოფლო საბჭოს მშრომელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობაში, გვერდით დაუდგნენ რესპუბლიკის ახალ მთავრობას.

მიმდინარე წელს სასოფლო საბჭოს მოსახლეობისაგან სახელმწიფოს 584 ცენტნერი ხორცი მიეყიდა, რაც დაგეგმილზე 64 ცენტნერით მეტია, რძე კი—824 ცენტნერი, ნაცვლად 800 ცენტნერისა, გადაჭარბებით შესრულდა ასევე კურკოვანი და თესლოვანი ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის გეგმა.

ოჯახურ მეურნეობაში ნაწარმოები პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში აქტიური წვლილი შეიტანეს სასოფლო საბჭოს მშრომელებმა—გელა ფრუიძის, ვალერი ჩარკვიანის, ჯუმბერ მეშველიანის, ჭიჭიკო ხეკურიანის, გიორგი ფუტკარაძის, რამინ ყურაშვილისა და სხვათა ოჯახებმა. მათ მიერ სახელმწიფოსათვის მიყიდულია 3, 5 ტონაზე მეტი ხილი და 1 ტონამდე ხორცი. სასოფლო საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ხანიმუშო დისციპლინის დაცვა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა გადამწყვეტი ფაქტორია იმ მიზნის მისაღწევად, რისთვისაც ქართველი ერი იბრძვის.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეზონანსი

სასოფლო თემი?!

ანუ

რა მოაქვს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს

ვიმედოვნებ, მკითხველი უკვე მიხვდა, რაზეა საუბარი. გაზეთ „ლეჩხუმის“ №145-ში დაიბეჭდა ბატონ რუბენ ბაქრაძის წერილი „შეიქმნა სასოფლო თემი“, როგორც ჩანს, ავტორს სურდა მოსახლეობის ინფორმირება ამ „წამოწყების“ თაობაზე, მივიღეთ კი სრული დეზინფორმაცია. ეს არაა „ძლიერ ხმამაღლა“ ნათქვამი, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს... დეზინფორმაცია სათაურიდანვე იწყება. უფრო მეტიც, ესაა აბსურდი. „სასოფლო თემი“ ისეთივე აბსურდული ფრაზაა, როგორც ვთქვათ „სასოფლო ქალაქი“. სოფელი, ქალაქი, თემი, მხარე, ოლქი და მისთანანი ერთი და იგივე კატეგორიის ცნებებია. დავიმოწმებ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს: „თემი—1. (ისტ.) ქვეყნის ნაწილი, მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით, ერთად მცხოვრები მოსახლეობა—სოფელი, საზოგადოება, დიდ თემად ცხოვრება. 2. (ისტ) საქართველოს მთიანეთში—ერთი გვარის მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები. ფშაველთა თემი—თემის დროშა, თემის ყრილობა. 3. (ძვ)—იმერეთში ერთად თავმოყრილი. ერთად შეყრილი ხალხი (სალაპარაკოდ, დროის გასატარებლად, დღეობაზე) 4. რევოლუციამდე (და საბჭოთა კავშირში—რაიონების შექმნამდე) უმცირესი ადმინისტრაციული ერთეული მაზრის შემადგენლობაში. თემის აღმასკომი. 5. წინარე ისტორიულ ხანაში—ძირითადი სოციალური ჯგუფი, რომელიც კოლექტიურად ფლობდა საწარმოო საშუალებებს. ძველი ინდური თემი“. ამ განმარტებიდან გამომდინარე როგორც არ უნდა გავიგოთ თემის მნიშვნელობა, „სასოფლო თემი“ უაზრობაა. იტყვის ვინმე—საქალაქო თემი, საოლქო თემი და ა. შ? დამეთანხმებით, რომ არა.

ეს სათაური. ახლა ტექსტს მივხედოთ. პირველივე წინადადება დეზინფორმაციაა. არავითარი სოფლის ყრილობა ქვედა ცაგერში არ ჩატარებულა. ამ ეგრეთწოდებულ „ყრილობას“ სულ ოთხმოცდაათი კაცი ესწრებოდა, ქვედა ცაგერის მოსახლეობა კი ბევრად მეტია. როცა ამ შეუსაბამობაზე გავამახვილეთ ყურადღება, „ყრილობის“ ორგანიზატორებმა, სასოფლო თემის შექმნის საინიციატივო ჯგუფის წევრებმა აგვიხსნეს, რომ უხმეს მხოლოდ იმ კომლთა წარმომადგენლებს, რომლებიც კოლექტივიზაციამდე ცხოვრობდნენ ქვედა ცაგერის ტერიტორიაზე. ჩემთვის სრულიად გასაგებია სოფლის მცხოვრებთა გულისტკივილი გაჩანაგებული მეურნეობის, გასხვისებული მიწების, სოფელში მიწის სარეზერვო ფონდის ფაქტიურად არარსებობის გამო, რაც წლების განმავლობაში რაიონის ხელმძღვანელობის არამართლზომიერი საქმიანობის შედეგია. ის პრობლემები, რომლებზეც ტკივილით ლაპარაკობდნენ შეკრებილნი, ათეულწლობით გროვდებოდა და მართლაც დიდ ტვირთად აწევს შვიწროებულ მოსახლეობას, მაგრამ ამ საკითხების განხილვა შედის მხოლოდ და მხოლოდ სოფლის ყრილობის კომპეტენციაში, ყრილობას კი აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სოფლის ყველა კომლის წარმომადგენელი, ლუხვანოდან, ჩხუტელიდან ჩამოსახლებულიც და თუნდაც ქვეყნის დასალიერიდან გადმოსახლებულიც. თუ ვინმეს იმის შიში აქვს, რომ ჩამოსახლებულნი მკვიდრთა თანაბრად მოითხოვენ ყველაფერს, ვფიქრობ, ამ შიშს მყარი საფუძველი არ აქვს—ქართველმა გლეხმა ხომ ჩასახლებულის უფლებაც კარგად იცის და მკვიდრთა მოვალეობაც.

იმედი მაქვს, მკითხველი ისე არ გამიგებს, თითქოს სოფლის ინფორმირებულობის წინააღმდეგი ვიყო. სოფელმა თვითონ უნდა უპატრონოს თავს. ეს იდეა პირველად ჩვენმა გაზეთმა წამოჭრა. პუბლიკაციათა ციკლში „სოფელო, დუმილის ჟამი გათავდა“, ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ აუცილებელია სოფლის თვითმმართველობის ორგანოების შექმნა, რათა სრულ გაჩანაგებას გადავარჩინოთ ლეჩხუმი. სიტყვა „თემიც“ პირველად ჩვენ ვახსენეთ ამავე ციკლში (თუმც არა ისე, როგორც ეს ქვედაცაგერლებს გაუგიათ). მოგაგონებთ, რომ ეს ხდებოდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ საუბარიც არ იყო მრავალპარტიულ არჩევნებზე, ან მცირე იყო იმედი ამ არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებისა, როცა ფაქტიურად დაშლილი კოლმეურნეობის ქონებიდან ჯერ კიდევ შეიძლებოდა რაიმეს გადარჩენა. მაგრამ რამდენად გამართლებულია თუნდაც ნამდვილი სოფლის ყრილობის მოწვევა 15 ნოემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობის მეორე დღეს? მაშინ, როცა სესიამ გადაწყვიტა მომზადდეს კანონი მიწის საკუთრების შესახებ, ჩატარდეს მუნიციპალური არჩევნები. რესპუბლიკის ახალმა მთავრობამ უკვე აკრძალა მუნიციპალური არჩევნების ჩატარებამდე სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების ყოველგვარი გაყიდვა-გასხვისება, მიწების განაწილება, რაც თავისთავად ნიშნავს, რომ თუნდაც იურიდიული ძალა ჰქონოდა ახლადშექმნილი „თემის დარბაზის“ გადაწყვეტილებებს, იგი მაინც ბლოკირებული იქნებოდა. ხაზს ვუსვამ—„ყრილობის“ და აქედან გამომდინარე მის მიერ არჩეულ „თემის დარბაზს“ (დარბაზი შეიძლება ეწოდოს 50 კაცზე მეტი შემადგენლობის სათათბირო და არა 11 კაციან მმართველ ორგანოს!), მიღებულ გადაწყვეტილებებს არავითარი იურიდიული ძალმოსილება არ გააჩნია. დაწყებული თუნდაც იქიდან, რომ „სასოფლო თემი“ უაზრობაა და დამთავრებული იმით, რომ რატომღაც მიღებულად ითვლებოდა ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებსაც ათიოდე კაცი თუ უწევდა ხელს (წერილის ავტორი შეიძლება ამას ვერ ამჩნევდა, ის ხომ წინა რიგებში იჯდა, ჩვენ კი კარგად ვხედავდით ყველაფერს) ეს თავყრილობა და მისგან გამომდინარე შედეგები არაკანონიერი აქტი იყო.

მე არ მინდოდა გული მეტკინა რომელიმე ქვედაცაგერელისათვის და თუ ჩემი ამ წერილით უნებლიე ტკივილი მივაყენე ვინმეს უმორჩილესად ვთხოვ პატიებას. გაჩუმება კი—არ შემეძლო, სჯობს სათქმელი მანამდე ითქვას, სანამ ურემი არ გადაბრუნებულა, მერე გვიანია იქნება თითზე კბენანი. ქვედა ცაგერლებისათვის კი ეს ყველაფერი მშვენიერი გაკვეთილი იქნება მომავალი მუნიციპალური არჩევნებისათვის.

დამაფიქრა კიდევ ერთმა გარემოებამ, რასაც „ყრილობასთან“ არავითარი კავშირი არა აქვს და გამომდინარეობს თავად წერილის ავტორის პოზიციიდან. მკითხველს ემახსოვრება, რომ ბატონი ბაქრაძე ერთგან ამბობს: „კომუნისტების ლოზუნგისა არ იყოს...“ ვფიქრობ, არავის გასძნელებია ამ ფრაზის კონტექსტის გაგება. განა თქვენ უკვე აღარ ხართ კომუნისტი, ბატონო რუბენ, აღარაფერი გაკავშირებთ ამ პარტიასთან? ნუთუ მხოლოდ ახლა დაინახეთ ამ ცნობილი ფრაზის უსაფუძვლობა და უგუნურება, აკი ორიოდ წლების მანძილზე ერთგულად ეწოდით სწორედ ამ და მსგავსი იდეების პროპაგანდას?

ია ხმელიძე.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

სიძნელეების მიუხედავად

ჩვენი გაზეთის 12 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „სამუშაო დაჩქარებას მოითხოვს“ ლაპარაკი იყო მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებლობის გაჭიანურების შესახებ. იმ პერიოდისათვის ცაგერის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის მიერ, რომელმაც ეს სამუშაო დაიწყო 1987 წელს, 1 მილიონ 200 ათასი მახეთის სამშენებლო სარეკონსტრუქციო სამუშაოებიდან შესრულებული იყო მხოლოდ 424 ათასი მახეთის.

აძის მიზეზი ძირითადად ცემენტისა და სხვა სამშენებლო ძასალებით მოძარაგებაში არსებული სიძნელეები იყო. მშენებლებმა დაგვიმედეს, მიუხედავად სიძნელეებისა მშენებლობის ტემპს გავაძლიერებთო.

მას აქეთ 5 თვეზე მეტი გავიდა და შესრულეს მხოლოდ 65 ათასი მახეთის სამუშაო, ისიც უხარისხოდ.

ფაბრიკა რომ ექსპლოატაციაში გავიდეს, რაც მიმდინარე წლის დასასრულისთვის იყო გათვალისწინებული, უნდა შესრულდეს მილიონ 435 ათასი მახეთის სამუშაო. თუ ამ ტემპით წარიმართა საქმე, მის დამთავრებას 2-3 წელი კიდევ დასჭირდება. ასაშენებელია საწიწილე, რომლის მშენებლობაც აგურის უქონლობის გამო შეჩერებულია. ჭიანურდება საქვაბე მეურნეობის, საინკუბაციო საამქროს, საფრინველის (4 ათას ფრთაზე,) კომბინირებული საკვების საწყობის, ფრინველის სასაკლაოსა და სხვა ობიექტების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

ფაბრიკა კომპლექტაციაზეა აყვანილი. ახალი წლის პირველ—მეორე კვირაში შემოტანილი უნდა იქნეს დანადგარები, მაგრამ, სამწუხაროდ, არცერთი შენობა მზადყოფნაში არ არის, რომ დამონტაჟდეს. თუ არ შეიქმნა პირობები დანადგარების მიღებისა, მას გადასცემენ სხვა ორგანიზაციას და ახლის გამოყოფას წლები დასჭირდება. ამიტომ მეფრინველეობის ფაბრიკის დირექციამ და მშენებელმა ორგანიზაციამ პირველ რიგში უნდა კეთილმოაწყონ ის შენობები, რომელშიც დანადგარები დამონტაჟდება.

მკითხველისათვის ცნობილია, რა დიდ სამსახურს უწევდა რაიონის მოსახლეობას მეფრინველეობის ერთადერთი პრიმიტიული ფაბრიკა. სახელმწიფოს ყოველწლიურად აბარებდა მილიონ ცალზე მეტ კვერცხს და ტონობით ქათმისა და ღორის ხორცს. ახლა, როცა კვების პროდუქტების დიდ ნაკლებობას განიცდის მოსახლეობა, სახელმწიფო, დასანანია, რომ ასე ჭიანურდება ფაბრიკის ექსპლოატაციაში გაშვება. გვესმის დღევანდელი სიძნელეები, სამშენებლო მასალების პრობლემა, მშენებელთა პრეტენზიები, სტანდარტებზე, ნორმებზე, შრომის ანაზღაურების თაობაზე, მაგრამ ფაბრიკის მთავარი სამუშაოები თითქმის შესრულებულია და ჩვენის აზრით, უფრო მეტი მონდომებითა და ძალისხმევით შეიძლება რაიონის მშრომელთათვის ამ არსებითი მშენებარე ობიექტის დამთავრება.

რაიონის მოსახლეობა მოითხოვს ფაბრიკის ექსპლოატაციაში გაშვების დაჩქარებას, რადგან ქუთაისიდან, წყალტუბოდან, სხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან კერძო პირებს შემოჰყავთ სარეალიზაციოდ წიწილები, ყიდიან მამასისხლად, მათი დიდი ნაწილი დაავადებულია და იხოცება. ამჟამად ბევრი სამუშაოს შესრულება შეიძლება ყოველგვარ ამინდში, რადგან ბევრი რამ გადახურულშიც შეიძლება გაკეთდეს.

ფაბრიკის მშენებლობა კონტროლზე უნდა აიყვანოს სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომმა და ყველა უნდა დავირაზმოთ ამ საშური ობიექტის დროული დამთავრებისათვის.

ვ. დავითულიანი.

საბჭომბი: რევოლუციური ბრძოლის პროცესია

(დასასრული).

უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა სოფლის მცხოვრებთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით. ასრულდა ალაური დედების დიდი ხნის თხოვნა და სოფელ წიფერჩის ცენტრში გაიხსნა საბავშვო ბაღი, ბარდნალაში აშენდა ქართული პურის საცხობი, რომელიც უკვე მზადაა და ახალი წლის იანვრიდან პურის ცხობას დაიწყებს. სოფელ წიფერჩაში აიგო სამანქანო ხიდი, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ჩქუმ-ქულბალის სამანქანო გზას და რეგულარულად მოძრაობს სამარშრუტო ავტობუსი. კეთილმოეწყო სოფელ წიფერჩის შიდასასოფლო გზები. ამჟამად მიმდინარეობს სოფელ ბარდნალაში გელენიძეების შიდასასოფლო გზის მშენებლობა. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა წიფერჩის საექიმო უბნის შენობას და ა. შ.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებიც გასაუმჯობესებლად ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა გადასაჭრელია. კაპიტალური რემონტი სჭირდება სოფელ ლარჩვალში შიდასასოფლო გზას, სრულიად შეცვლას საჭიროებს ელექტროდენის გადამცემი ხაზები, კაპიტალური რემონტი სჭირდება ასევე წიფერჩის სასოფლო საბჭოს შენობას, რისთვისაც საჭიროა სახალხო დეპუტატთა რაიონის აღმასკომისა და შესაბამისი სამშენებლო ორგანიზაციების დახმარება.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ვგრძნობთ და გათვალისწინებული გვაქვს ყველა ის პრობლემა, რაც დღეს რესპუბლიკაში დაგროვდა. ახლა, როცა ვემზადებით მუნიციპალური არჩევნებისათვის, დაძაბული მდგომარეობაა ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთში, საქართველოს ამ ძირძველ მიწაზე, სავსებით გონივრული ნაბიჯი გადადგა საქართველოს მთავრობამ, როცა მიიღო გადაწყვეტილება ოლქის გაუქმების შესახებ, მაგრამ გვაღელვებს ის დაუმორჩილებლობის ატმოსფერო, რაც იქ სუფევს, რისთვისაც საგანგებო წესების შემოღება გახდა აუცილებელი.

სხვა გამოსავალი არაა დღეს. ამ მეტად დაძაბულ და ამაღელვებელ პერიოდში საჭიროა შევინარჩუნოთ სიმშვიდე, გამოვიჩინოთ წინდახედულება, რომ უფრო ადვილად გავართვათ თავი გარდამავალი პერიოდის სიძნელეებს, რაც ჩვენს ირგვლივაა.

ო. ხეცურიანი,

წიფერჩის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

მოსკოვში პატარა სამოთახიან ბინაში ცხოვრობს სამხედრო კაცი, რომელიც ი. ბ. სტალინს ჰგავს. მსგავსება შემთხვევითი არ არის— ეს არის „ხალხების მამის“ შვილიშვილი ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილი.

ბინაში ბაბუის ბევრი ფოტოსურათია: ახალგაზრდა სტალინი, სტალინი და ლენინი გორკში, სურათი—საოცრება: სამი სათვალთვალო წერტილიდან—სტალინის სხვადასხვაგვარი გამოსახულება...

კორესპონდენტმა მ. ლეგაშოვამ რამდენიმე შეკითხვით მიმართა ე. ჯუღაშვილს, რომელთა პასუხებსაც მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

ჩემი ბაბუა—იოსებ სტალინი

—ბატონო ევგენი, თქვენ ხართ ფრუნზეს სახელობის აკადემიის მასწავლებელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ვიცი, რომ გატაცებული ხართ ლიტერატურის შეგროვებით, რათა კარგად გაერკვეთ თქვენი ბაბუის პიროვნებაში.

—ახლა მასზე ძალიან ბევრს წერენ, ყვებიან სხვადასხვაგვარ ტყუილსა და არარსებულს. თითქოს სტალინი იყო პარანოიკი. რომ იგი ერთხელ თავის დაცვას დაემალა და სხვა. მე კი ვფიქრობ, რომ გაბუაჩემის კრიტიკა— ეს შირმაა, რითაც დღევანდელი ხელმძღვანელობა ცდილობს თავი იმართლოს დღევანდელი ნაკლოვანებებისათვის. სტალინი გარდაიცვალა თითქმის 40 წლის წინ, მაგრამ მაინც ყველაფერს მას აბრალებენ. სტალინი ჩემთვის ცალკე მტკივნეული საკითხია.

არ შეიძლება მისი კრიტიკა დღევანდელი პოზიციიდან, მაგალითად, ინდუსტრიალიზაციისათვის. მაშინ ეს რომ ასე არ გაეტარებინა ამ ვადაში, ჩვენ ახლა ჰიტლერის „გავლენის“ ქვეშ ვიქნებოდით.

ისინი, ვინც ევროპაში მასზე ლოცულობდნენ, როგორც ფაშიზმის უღლისაგან განმანთავისუფლებელზე, დიახ, ვინც დაჩოქილი ლოცულობდნენ, დღეს ისინი მის ძეგლებს ანგრევენ. მიმიფურთხებია ამისათვის! იყვირებენ, იხმაურებენ და სულ ერთია მაინც მიაგებენ მას თავის კუთვნილს, ვის ახსოვს დღეს ნაპოლეონის მოსამართლეები და ჯალათები? ახსოვთ მხოლოდ იმპერატორი. იგივეა აქაც.

—თქვენ ბაბუა გინახავთ მხოლოდ გარედან, როცა ის ცხალმებოდა პარადს მავზოლეუმიდან. ხომ არ გქონია ურთიერთობა ისეთ ვინმესთან, ვინც სტალინს ახლოს იცნობდა? მაგალითად, კაგანოვიჩთან ან მოლოტოვთან?

—კაგანოვიჩს მე არ ვიცნობ, ხოლო მოლოტოვთან ურთიერთობა მქონდა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. მისი მეუღლე ამბობდა, რომ მე ძალიან ვგავარ ახალგაზრდა სტალინს. მოლოტოვი ძალიან აფასებდა ბაბუაჩემს. მიიჩნდა, რომ იგი მასზე რამდენიმე თავით მაღლა იდგა. სწორედ რომ ასე იყო.

გარდა ამისა, ყველა იმ მოგონებებს შორის, რაც მე წამიკითხავს, ბაბუის სახეს ყველაზე რეალურად ასახავს სვეტლანა ალილუევას მოგონებები. ის ორჯერ იყო ჩემთან. მაგრამ მისი მოგონებები მაინც უნდა წაიკითხო, ამასთან ისიც გასათვალისწინებელია, რომ იგი ძალიან ემოციური ნატურაა.

—თქვენ გზრდიდათ დედა—ოლგა გოლიშევა. დაბადეთ ურიუბინსკში. ალბათ, არავითარ სახელმწიფო დახმარებას არ ღებულობდით სხვა შვილიშვილებისაგან განსხვავებით?

—ეს ასე არ არის. სტალინს არ ჰქონდა არავითარი დანაზოგი. მისი გარდაცვალებისთანავე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება სტალინის შვილიშვილებისათვის დახმარების შესახებ. ყოველ ჩვენგანს მოგვცეს „საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერის“ წიგნაკი—1000 მანეთი (რეფორმამდე) ყოველთვიურად სასწავლებლის დამთავრებამდე. იყო „სტალინის საქმე“, რომელშიც ასახულია სტალინის რვავე შვილიშვილი.

მე მაშინ ვამთავრებდი კალინინის სუვოროვის სასწავლებელს, სადაც დავუმეგობრდი ჩემს მამიდაშვილს საშა ბურდონსკის. შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. ახლა ჩვენს შორის უფსკრულია. ეს გამოიწვია მისმა ანტისტალინურმა განწყობილებამ. ერთადერთი, ვისთანაც ვიჭერ ურთიერთობას, ეს არის იოსებ ალილუევი. ჩემს მამით დასთან გალინა ჯუღაშვილთან ვერ ავაწყვე ურთიერთობა. ის არ ცნობს ჩემი მშობლების ეგრეთწოდებულ სამოქალაქო ქორწინებას.

—თქვენი ოჯახის ცხოვრება დაკავშირებულია მოსკოვთან, თბილისთან. სად იჩენენ თქვენს მიმართ მეტ ყურადღებას?

—რა თქმა უნდა, საქართველოში. თბილისში გავიცანი ჩემი მეუღლე, იქ დაიბადა ჩემი ორივე ვაჟიშვილი—ბესარიონი და იაკობი. 1962 წელს მეგობრებმა მიმიწვიეს საოჯახო დღესასწაულზე. მაგიდას ბევრი ქალიშვილი უსხდა. მასპინძელმა ხუმრობით მითხრა: „ამოირჩიე მათ შორის ნებისმიერი!“ მეც ამოვირჩიე, ორი კვირის შემდეგ კი დავქორწინდი... იანვარში გავდივარ პენსიაზე. წავალ საცხოვრებლად თბილისში, ჩემს ოჯახში.

—რატომ მაინცდამაინც თქვენ შემოგთავაზეს სტალინის როლი ფილმში „ომი ყველასათვის ომია“, რომელიც თქვენი მამის—იაკობ ჯუღაშვილის შესახებაა.

—მოხდა ისე, რომ დ. აბაშიძის გადამღებ ჯგუფთან განხილვაზე საკუთარ შემოქმედებით პრობლემებზე ვიყავი. მაშინ ვერ გამონახეს მსახიობი, რომელიც ბაბუაჩემის როლში გამოდგებოდა. იმ დღეს მე სამხედრო ფორმაში ვიყავი. და ვიღაცამ, როგორც კი შემხედა, წამოიძახა: „აგერ სტალინიც“. ჯერ უარი განვაცხადე, მაგრამ აბაშიძის მოსკოვში მეოთხედ ჩამოსვლის შემდეგ მივეცი თანხმობა. სიტყვებს კი ჩემი თხოვნით ახმოვანებს სხვა მსახიობი.

—ამბობენ, რომ სტალინი გულგრილი იყო თავის უფროსი შვილის, თქვენი მამის მიმართ.

—ეს გულგრილობა კი არ იყო, არამედ სიმკაცრე, რაც უნდა ასიათებდეს ნებისმიერ მამას, როცა მას შვილი [illegible] ათლება არ [illegible] და იაკობმა [illegible] ცოლის შერთვა. მაგრამ მას არ შეეძლო ოჯახის შენახვა. ხოლო იმის შესახებ, რომ სტალინმა არ გაცვალა იაკობი ფელდმარშალ პაულუსზე, ეს მაშინ თეორიულადაც შეუძლებელი იყო. რას იტყოდნენ მაშინ სხვა მამები, რომელთა შვილებს არ გაცვლიდნენ მარშლებზე? სტალინს ეს კარგად ესმოდა. მან სამშობლოს სამსხვერპლოზე დადო საკუთარი შვილი — უფროსი ვაჟიშვილი. სხვათა შორის, ჩვენ გვყავს სახალხო გმირი გიორგი სააკაძე, რომელმაც ზუსტად ისევე ირონის მახათან ბრძოლას საკუთარი შვილის—ბაატას თავი შესწირა.

—როცა თქვენ დაგირეკეთ და გთხოვეთ ინტერვიუ, თქვენ მკითხეთ—ებრაელი ხომ არა ხართო?

—მე კარგ დამოკიდებულებაში ვარ ებრაელებთან ისევე, როგორც სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. მყავს მე ებრაელი მეგობრები. მაგრამ ამ ეროვნების წარმომადგენლებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც პასკვილებს წერენ, ბღალავენ, ამუქებენ ჩვენი სახელმწიფოს ისტორიას. განზრახ ამახინჯებენ ფაქტებს. თუმცა ამას მარტო ებრაელები როდი აკეთებენ. მაგალითად, ვოლკოგონოვი. წავიკითხე მისი წიგნი და განზე მოვისროლე. ის ჩემი მასწავლებელი იყო აკადემიაში.

—როგორ მიგაჩნიათ თქვენ „მემორიალის“, „პამიატის“ არსებობა, რა აზრის ხართ მათ მიმართ?

(დასასრული მე-4 გვერდზე).

პროფესიონალი

მას ასე სწამს

ამ დარბაზში გარეშე პირთა შესვლა აკრძალულია. 1300 ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურია მოქმედებაში. ერთი დეტალი რომ გაფუჭდეს, ან შემაერთებელი ხაზი გაწყდეს, რამდენი უსიამოვნება მოჰყვება. რთული და მეტად ფაქიზია აპარატებთან მომუშავეთა საქმე.

26 წელიწადი გასულა მას შემდეგ, რაც დევლეთ მუკბანიანმა თბილისის კავშირგაბმულობის ტექნიკუმი დაამთავრა და კავშირგაბმულობის ცაგერის რაიონული კვანძის სატელეფონო სადგურში დაიწყო მუშაობა ელექტროტექნიკოსად. ამ ხნის მანძილზე არ ახსოვს ადმინისტრაციის ერთი უბრალო საყვედურიც კი. მას აქვს დიდი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი და რაც მთავარია, პროფესიული დონე, იგი ბევრ რამეში ინჟინრებსაც კი არ უდგს ტოლს. პირდაპირი და შეუპოვარია, თუ საქმეს წაადგება, არავის მოერიდება.

ავტომატურ სადგურს ოთხი ტექნიკოსი, ერთი ინჟინერი და ერთი დამხმარე მუშა ემსახურება. თითოეულ ტექნიკოსზე 300-ზე მეტი ნომერი მოდის. ყველა ავტომატურმა ხელსაწყომ, რომ გამართულად იმუშაოს, ყველა მოწოდების სიმაღლეზე უნდა მუშაობდეს.

უფროს ტექნიკოსს გული სწყდება, რომ ეს სფერო ბევრის სალანძღავად და საგინებლად გამხდარა.

—რა უშველის საქმეს?

—სათქმელი ბევრი არაფერი გვაქვს. მართალია, წლეულს ავტომატურ სადგურს ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, მაგრამ არც თუ ხარისხიანად. ესეც აყენებს ზიანს მომსახურებას. დღეს სხვა დრო დადგა, პროფესიონალიზმი გადამწყვეტია. ყველამ უნდა მოინდომოს და აკეთოს თავისი საქმე ისე, როგორც საჭიროა.

დევლეთ მუკბანიანი კი ერთგულებითა და სიყვარულით ემსახურება არჩეულ პროფესიას. სულ რაღაცას უკრკიტებს, რაღაცას აწყობს, ასწორებს, დაისვენებს და კითხულობს. ზოგჯერ მთელი ღამეებიც. გაიღება თუ არა „სოიუზპეჩატის“ ჯიხური, პირველი ის მიადგება ნაირ-ნაირი გაზეთების შესაძენად. მომავალი წლისათვის კი მთელი წლის დანაზოგი 344 მანეთი 23 სახეობის ჟურნალ-გაზეთის გამოწერას მოახმარა. რა საკითხზე გინდა ესაუბრო, რომ არ ერკვეოდეს. მისი სულიერი საზრდო წიგნი და გაზეთია, უყვარს კინო და თეატრიც.

—დღეს დამოუკიდებლობის გზაზე მიმავალ საქართველოს კარგი სპეციალისტები და განათლებული ადამიანები სჭირდებაო, —ასე სწამს, ასე სჯერა.

ბ. ბაქრაძე.

რაიონში შეინიშნება ღორის დაავადება. ადამიანებს აინტერესებთ რა დაავადებაა ეს, რამდენად საშიშია მოსახლეობისათვის, აღკვეთის რა გზები და საშუალებები არსებობს.

გთავაზობთ ცაგერის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიის დირექტორის რობერტ გოდოლაძის წერილს.

ტრიქინელოზი საშიში დაავადებაა

ტრიქინელოზი ცხოველიდან ადამიანზე გადამდები დაავადებაა. როგორც ცხოველები, ისე ადამიანები ავადდებიან ტრიქინელოზიანი ხორცის ჭამის შედეგად. დაავადება მიმდინარეობს ჯერ ნაწლავის ფორმით და შემდეგ კუნთის ფორმით. ტრიქინელოზის მიმართ ამთვისებელია ასზე მეტი სახის ცხოველი, მათ შორის ტრიქინელოზის აღმძვრელს ძირითადად წარმოადგენენ გარეული ცხოველები—მგელი, მელა, ტურა, კვერნა, დათვი და სხვები.

ადამიანის ტრიქინელოზით დაავადების წყაროს წარმოადგენს ღორის ხორცი. ღორებში ტრიქინელოზის გავრცელებას ხელს უწყობს მათი უმეთვალყუროდ შენახვა-ძოვება ტყეში, შენახვა ნაგავსაყრელებზე, სასაკლაოებზე, სამზარეულოებთან და სხვა. დაავადების ნიშნები ღორებში შეიმჩნევა დასნებოვანებიდან 7-20 დღის შემდეგ. ინვაზის ინტენსიობის მიხედვით ღორს ემჩნევა სხეულის მოდუნება, უხალისოდ მოძრაობა, კანკალი, კუნთების ტკივილი, ტემპერატურის აწევა, საკვებს არ ჭამს, უვითარდება ფაღარათი, ეწყება ფილტვების ანთება, გაძლიერებული სუნთქვა, კანის ქავილი, რის გამოც ეხახუნება მაგარ საგნებს, ადგილი აქვს ქუთუთოებისა და ფეხების შეშუპებას, კონიუქტივიტს. ძლიერი ინვაზის დროს ღორი კვდება, სუსტი ინვაზის დროს დაავადება გადადის ქრონიკულ ფორმებში, ხდება დაავადების მატარებელი, რაც ძლიერ საშიშია ადამიანებისათვის.

ადამიანებში ტრიქინელოზის მიმდინარეობა იყოფა სამ პერიოდად-პროდრომატარებელი, მწვავე და ქრონიკული.

დაავადების ნიშნები: კუჭ-ნაწლავის აშლილობა, ტემპერატურის აწევა, კუნთების კანკალი, მწვავე ტკივილი და სხვა, რის შემჩნევისთანავე უნდა მიმართოთ ექიმს. ტრიქინელოზით ინვაზიური ცხოველების ხორცისა და სხვა პროდუქტების ვეტერინარულ-სანიტარული შემოწმებისას მხედველობაშია მისაღები აღმძვრელის განსაკუთრებული საშიშროება ადამიანებისათვის. დიდი გამძლეობა და ტოქსიკური თვისებები, რაც მეღავნდება იმით, რომ ისინი გამოყოფენ თერმოსტაბილურ ტოქსინებს, რომლებიც არ იშლებიან ხორცის მოხარშვის და შეწვის დროს. ამიტომ აუცილებელია და სავალდებულო ყველა დაკლული ღორის ხორცი შემოწმებული იქნეს მიკროსკოპულად და ტრიქინელოზიანი ხორცი მოისპოს.

ტრიქინელოზის გავრცელების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია რაიონში გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. აიკრძალოს ვეტერინარულად შეუმოწმებელი (ბეჭედდაუსმელი) ხორცის საკვებად მოხმარება, ტრანსპორტირება და რეალიზაცია.

2. დასახლებულ პუნქტებში მეღორეობის ფერმებსა და ნაკელსაცავებში მოხდეს სანიტარული დასუფთავება, მოისპოს ვირთაგვები და თაგვები, მოხეტიალე ძაღლები და კატები.

3. მოსახლეობის ყურადღება მიექცეს იმას, რომ არ დაუშვან ღორები სანაგვეებზე, სასაკლაოებთან, ნაკელსაცავებთან და სხვა.

4. ტრიქინელოზის ნიშნების შემჩნევისთანავე **დაუყოვნებლივ** ეცნობოს რაიონის მედიცინისა და ვეტერინარიის სამსახურებს სათანადო ღონისძიებების გასატარებლად.

აღნიშნული დაავადების თავიდან აცილებისათვის მოგმართავთ თხოვნით რაიონის თითოეულ მოქალაქეს გამოიჩინოთ სრული პასუხისმგებლობა, რათა არ მოხდეს დაავადებული ხორცის რეალიზაცია, არ დაუშვათ საჯკვების ობიექტებსა და კოოპვაჭრობაში შეუმოწმებელი ღორის ხორცი. მოსახლეობამ, რომელიც საშიშზედ კლავს ღორებს, საეჭვო შემთხვევაში კონსულტაციისა და შემოწმებისათვის მოგვმართოს ცაგერის სარაიონთაშორისო ვეტლაბორატორიას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ანჟელიკა სტანისლავის ასულ სერდიუკს
გურამ გრიგოლის ძე ბენდელიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები.

სოფო გვიშიანს
სოსო მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი.

ნარგიზა, გოგი სალინაძეები, მზია, დიტო, ლენა ბურჯალიანები.

სოფო გვიშიანს
სოსო მუშკუდიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სულ სიხარული გქონოდეთ თქვენი ცხოვრების მანძილზე. გისურვებთ შვილთა სიმრავლეს.

ლალი, ზაურ ყურაშვილები, ნელი, ვახტანგ სვანიძეები.

თამილა ჯანიკოს ასულ მეგრელს
ლადო ვარლამის ძე კენჭაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, ფუძემყარი ყოფილიყოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ადგილმრეწველობის კომბინატის სამკერვალო საამქროს თანამშრომლები.

გილოცავთ

შარდენ გუგავას

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი.

ცაგერის პროფსასწავლებლის თანამშრომლები.

მარო ალექსის ასულ გურგუჩიანს
გურამ სევარიონის ძე დავითულიანს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ოჯახისა და ერის სასახელოდ. კიდევ მრავალი შვილიშვილი შეგძენოდეთ. იმრავლეთ, იხარეთ.

თინა, სულიკო, დათო, ლენა, ლია გვიშიანები ოჯახით.

მარინე გუხუტის ასულ ალავიძეს
მირზა გრიშას ძე კვენეტაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ალპანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.

მარიკა მუშკუდიანს
თამარ დავითულიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ მომავალს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ცაგერის საშუალო სკოლის X-ა კლასის მოსწავლეები.

დათო თამაზის ძე ლეთოდიანს

ჩემო პატარა დათუნა, გილოცავთ დაბადების დღეს, გაიზარდე ერისა და ოჯახის სასახელო ვაჟკაცი, გაგეხარებინოს შენი დედ-მამის გული.

დალი და ტუღუ ხაბულიანები.

ჩემი ბაბუა—იოსებ სტალინი

(დასასრული).

—„მეშორიალი—მეზიზღება. სად გაგონილა რევოლუცია მსხვერპლის გარეშე? არცერთი რევოლუცია არ მომხდარა სისხლისღვრის გარეშე და ჩვენც არ ვართ გამონაკლისი. თუმცა, ცხადია, ბევრი დაიღუპა, მაგრამ შეტაკების დროს ზოგჯერ შენიანებსაც მოხვდება. მეც მოვხვედრილვარ შეტაკებაში, როცა სუვოროვის სასწავლებლის კურსანტი ვიყავი და კარგად ვიცი ეს.

—ესე იგი, „ტყეს ჰკრიან—ნაფოტები იყრება“?

—რა თქმა უნდა, ომი ომია. მიდიოდა კლასობრივი ბრძოლა. რაც შეეხება „პამიატს“, მისი ზოგიერთი მიმდინარეობა მომწონს. მე მხედველობაში მაქვს რუსული ნაციის სიწმინდეზე ზრუნვა. რუსეთს მხოლოდ რუსები უნდა მართავდნენ. ჩვენთან კი როგორ არის—საითაც გაიხედავ, ან ებრაელია, ან ვიღაც შენიღბული.

—თქვენი დამოკიდებულება ნინა ანდრეევასთან.

—ახლახან ბათუმში ვისვენებდი და მეგობრებმა გამაცნეს ეს ქალბატონი. მე მომწონს მისი ვაჟკაცობა. ის, რომ ის თავის პრინციპზე დგას, მხარს უჭერს რუსი ხალხის სიწმინდეს. ქვეყანა უფსკრულისაკენ მიექანება. ნინა ანდრეევა კი იმათგანია, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ეს დაცემა შეაჩეროს.

—თქვენ მიგაჩნიათ შესაძლებლად ან მიზანშეწონილად, რომ გამოჩნდეს ისეთი კაცი, როგორიც შენი ბაბუა იყო?

—ასეთი ადამიანები ძალზე იშვიათად იბადებიან. ის ყოველთვის ჯერ ფიქრობდა სახელმწიფოზე, და მხოლოდ შემდეგ საკუთარ ოჯახზე. ჩვენი ხელმძღვანელები კი—პირიქით აკეთებენ. ჩემი აზრით, ამაზე პასუხი აგონ მათ, ვინც ეს ამბავი ატეხა. არ არის საჭირო ძლიერი კაცის ძებნა იმისათვის, რომ ეს ყველაფერი გამოასწოროს.

„არგუმენტი ი ფაკტი“.

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის მიერ მიღებული დადგენილების და კონცერნ „საქყოფსერვისის“ პრეზიდენტის წერილის საფუძველზე დროებით იკრძალება მამაკაცთა სალონებში წვერის პარსვა, ხოლო ქალთა სალონებში მანიკურისა და პედიკურის პროცედურები შიდსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით. სათანადო პირობების შექმნამდე საპარიკმახეროები იმუშავებენ მხოლოდ თმის გაკრეჭაზე.

ცაგერის რაიონის სანეპიდსადგურის მთავარი ექიმი ჯ. ყვირილიანი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი გ. მუშკუდიანი.

შვილები ჯიმშერი, ომარი, თინა, ნორა, მზია, ქინვერი, რძლები ლია ცხვედიანი, მალვინა ჯანაძე, და ნადია, სიძეები დადაში ჯანაძე, გერონტი მეშველიანი, ჯაბა ბურჯანაძე, რეზო სვანიძე, მულები ნადია, დოსია, შვილიშვილები, შვილთაშვილები, დისშვილები, ძმისშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოლია კირილეს ასული ჩაკვეტაძე

დაკრძალვა 22 დეკემბერს, შაბათს, სოფ. ნასპერში.

მიშა ყურაშვილი, თამაზ, სოსო, კახა ფუტკარაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რუსლან გალაქტიონის ძე კოპალიანი.

ბიცოლა ნინა, ბიძაშვილები ლენა, ლამარა ჯაბურიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცივი სიმონის ძე ჯაბურია.

შუშანა, გუგული ყურაშვილები, მურთაზ ბურჯალიანი ოჯახებით იუწყებიან

ჟორა ომანაძის

გარდაცვალებას.

ოყურეშის საშუალო სკოლის X-XI კლასების მოსწავლეები თანაუგრძნობენ ლეილა და ლევან ეფაძეებს ბებიის

საშა აკობიძის

გარდაცვალების გამო.

სასტუმრო „ლეჩხუმის“ თანამშრომლები თანაუგრძნობენ ავთო მუშკუდიანს სიძის

ჟორა ომანაძის

გარდაცვალების გამო.

უსახელოურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობასთან არსებული კოოპერატივი „ხელოსანი“ თანაუგრძნობს ბესიკ და ლევან ეფაძეებს დედისა და ბებიის

საშა გიორგის ასული აკობიძე-ეფაძის

გარდაცვალების გამო.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი თანაუგრძნობენ ბესიკ და ლეილა ეფაძეებს დედისა და ბებიის

საშა აკობიძის

გარდაცვალების გამო.

ეს საინტერესოა

ლიფტი, კიბე და გული

დორტმუნდის უნივერსიტეტში ჩაატარეს ექსპერიმენტი ერთი ფირმის თანამშრომელთა შორის, რომელთა კანტორაც მდებარეობდა 26-ე სართულზე. პირველ ჯგუფში ამოირჩიეს 25 წლის ასაკს გადაცილებული 25 ისეთი მსურველი, რომელიც არ მისდევდა სპორტს. ისინი დათანხმდნენ ყოველ დილით კიბით ასულიყვნენ სამუშაო ადგილამდე.

მეორე ჯგუფი, რომელიც 26 კაცისაგან შედგებოდა, წლოვანებითაც და ჯანმრთელობითაც უკეთესი მდგომარეობით გამოირჩეოდა, განაგრძობდა ლიფტით სარგებლობას. ათი კვირის შემდეგ მედიკოსებმა დაადგინეს: ვინც ლიფტით არ სარგებლობდა მათ გულის, ფილტვებისა და სისხლძარღვთა მუშაობა 26 პროცენტით, ზოგს კი 100 პროცენტითაც კი გაუუმჯობესდათ, მაშინ, როდესაც ლიფტით მოსიარულეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეცვლილა.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი
ნ. ნ ე მ ს ა ძ ე.

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვალიკო ერმილეს ძე კეკუტია.

ვალერი ყურაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ჟორა აქვსენტის ძე ომანაძე.

გრიშა გუგავა, თინა, ლენა, ნათელა ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ილარიონ პეტრეს ძე ბენდელიანი.

ცაგერის დამზადების გაერთიანების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ოლეგ ომანაძეს მამის

ჟორა ომანაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის——22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34. სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №144 ტირაჟი 4483

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.